

ახსნა განმარტება

2023 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია სტანდარტების შესაბამისად. ხოლო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ნაცვლად ატვირთულია და გამოყენებულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, რადგან 2023 წელის საანგარიშგებო პერიოდში არ განხორციელებულა შვილობილ კომპანიაში არანაირი ოპერაცია. საქმიანობა შეჩერებული აქვს შვილობილ კომპანიას. შესაბამისად კონსოლიდირებული ანგარიშგებისთვის შვილობილი კომპანიის მონაცემები არა არსებითია

Handwritten signature



შპს „ორიენტ ლოჯიკი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

CONTENTS

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	8
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	9
ფულის მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	10
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი პირდაპირი მეთოდით	10
შპს „ორიენ ლოჯიკი“ (საიდენტიფიკაციო N202052054)	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11
ზოგადი ინფორმაცია.....	11
საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული საკითხები:	13
მნიშვნელოვანი მოვლენები:	14
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა:.....	15
განმარტებითი შენიშვნები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე;	16
საქმიანობის შედეგების ანგარიში	23
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	26
მმართველობის ანგარიში.....	28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს-ს „ორიენ ლოჯიკი“ - დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

მოდულიზებული (პირობითი) მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ორიენ ტლოჯიკი“ (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ყველა მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი მოსაზრებით, გარდა ქვეთავში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხებისა, შპს-ის „ორიენ ტლოჯიკი“ ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ შევისწავლეთ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია და ვასკვნით, რომ წარმოდგენილი საკითხები არსებითია მაგრამ არა ყოვლისმომცველი.

კერძოდ:

- 1) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი უფიქსირდება - 5 040 712 ლარის. ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 5 360 885 ლარს ჩვენ კომპანიის აუდიტორებად არ ვიყავით 2023 წლის 31 დეკემბრის პერიოდისთვის, შესაბამისად ვერ დაგაკვირდით სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციის პროცესს. ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ ვადასტურებთ საქონლის ნაშთის ფაქტობრივი ოდენობის შესაბამისობას ანგარიშგებაში გაჟღერებულ საქონლის ნაშთის ოდენობასთან. გამომდინარე აქედან ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხულ მარაგებთან დაკავშირებით.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია

ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 2.2 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპანიამ მიიღო წმინდა ფინანსური მოგება, მას უფიქსირდება დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები და მომავალში საოპერაციო საქმიანობის გაგრძელების, აღებული მოვალეობების შესრულებისა და საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვა დამოკიდებულია კომპანიის შესაძლებლობაზე განახორციელოს მომგებიანი ოპერაციები ან/და მოიზიდოს დამატებითი ფინანსები. დამატებით, როგორც ეს გაშიფრულია 2.3 შენიშვნაში, კომპანიის საქმიანობაზე გავლენა ვერ მოახდინა ახალი კორონავირუსის (COVID-19) ეპიდემიურმა აფეთქებამ, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში გამოაცხადა გლობალურ პანდემიად.

მოცემული ფაქტები მიუთითებს რომ კომპანიას უნარი შესწევს, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს რაიმე კორექტირებას, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს რაიმე განუსაზღვრელობით.

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ

წარმოდგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან

აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და

- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

შპს „ანდრე აუდიტის“ სახელით

სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-934401

ზაზა მჭედლიშვილი

SARAS-A-863342

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2024 წ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივი	2023 წელი	2022 წელი	2021 წელი
ფულადი საშუალებები	950510	1589018	2253440
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4103712	3221165	2967546
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	-373996	-44342	-44342
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1043690	439304	264050
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	302	4110	1746
საგადასახადო აქტივი	-	768186	487233
საქონელი	5360885	5040712	3966820
<u>სულ მიმდინარე აქტივები</u>	<u>11085103</u>	<u>11018153</u>	<u>9896494</u>
მიწის ნაკვეთები	2231580	2231580	2231580
შენობები	1992369	1954599	1998006
დამხმარე ნაგებობა	2940	4797	6653
ოფისის აღჭურვილობა	221537	236983	342256
სატრანსპორტო საშუალებები	68766	91262	76519
ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში	233059	233059	233059
არამატერიალური აქტივი	15701	27852	27852
<u>სულ გრძელვადიანი აქტივები</u>	<u>4765952</u>	<u>4780132</u>	<u>4915924</u>
<u>სულ აქტივები</u>	<u>15851055</u>	<u>15798285</u>	<u>14812418</u>
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	5323771	6160391	6856743
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	6843	14	34
მიღებული ავანსები	3961300	3712123	3082527
მოკლევადიანი სესხები	1787111	1385419	-
საგადასახადო ვალდებულება	108873	622364	557994
<u>სულ მიმდინარე ვალდებულებები</u>	<u>11187898</u>	<u>11880310</u>	<u>10497298</u>
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	607804	-	-
<u>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</u>	<u>607804</u>	<u>-</u>	<u>-</u>
<u>სულ ვალდებულებები</u>	<u>11795702</u>	<u>11880310</u>	<u>10497298</u>
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	1274	1274	1274
გაუნაწილებელი მოგება წინა წლების	1165064	1027686	1424831
სარეზერვო კაპიტალი	2889015	2889015	2889015
<u>სულ კაპიტალი</u>	<u>4055353</u>	<u>3917975</u>	<u>4315120</u>
<u>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</u>	<u>15851055</u>	<u>15798285</u>	<u>14812418</u>

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 25 სექტემბერს:

შპს „ორიენ ლოჯიკის,,

დირექტორი

/ალექსანდრე ზაგრატია /

ფინანსური დირექტორი

/ირაკლი გოგლიჩიძე /

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
ამონაგები	6,3	38308885	36416857
არასაოპერაციო შემოსავალი		544738	28
<u>სულ შემოსავალი</u>		<u>38853623</u>	<u>36416885</u>
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6,4	-22599087	-23721023
პერსონალის ხარჯი		-11613007	-9629172
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		-349636	-289067
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი		-19000	-19000
იჯარის ხარჯი		-241920	-267572
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		-6063	-6890
ცვეთა და ამორტიზაცია		-200569	-336551
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-1536679	-1535084
სხვა ფინანსური დანახარჯი		-550	-422
პროცენტის ხარჯი		-247154	0
გადაფასება		-75249	591260
<u>სულ ხარჯი</u>		<u>-36888914</u>	<u>-35213520</u>
მოგება დაბეგვრამდე		<u>1964709</u>	<u>1203364</u>
მოგების გადასახადი		-275011	-240505
საოპერაციო მოგება		1689699	962859
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		1027686	1424831
დივიდენდი		-1552321	-1360004
სხვა			
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		1165064	1027686
საწესდებო კაპიტალი შპს-ში		1274	1274
სარეზერვო კაპიტალი		2889015	2889015

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 25 სექტემბერს:

შპს „ორიენტ ლოჯიკის“

დირექტორი

/ალექსანდრე ზაგრატია /

ფინანსური დირექტორი

/ირაკლი გოგლიჩიძე /

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი')	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 2021	1274	2889015	1424831	4315120
მოგება / (ზარალი)			962859	962859
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)				0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)			962859	962859
დივიდენდის გამოცხადება			-1360004	-1360004
სხვა				0
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 2022	1274	2889015	1027686	3917975
მოგება / (ზარალი)			1689699	1689699
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)				0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)			1689699	1689699
დივიდენდის გამოცხადება			-1552321	-1552321
სხვა				0
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 2023	1274	2889015	1165064	4055353

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 25 სექტემბერს:

შპს „ორიენ ლოჯიკის“

დირექტორი

/ალექსანდრე ზაგრატია /

ფინანსური დირექტორი

/ირაკლი გოგლიჩიძე /

**ფულის მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი პირდაპირი მეთოდით**

შინაარსი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
<u>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</u>			
კლიენტისგან მიღებული ფულადი სახსრები	39 104 189	42 447 278	44 121 521
კლიენტზე გადახდილი ფულადი სახსრები	(29 783 891)	(31 355 527)	(29 549 626)
ხელფასები	(6 271 126)	(7 173 520)	(8 510 534)
გადასახადები	(2 875 101)	(4 690 705)	(5 993 004)
<u>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</u>	174 072	(772 474)	68 357
	-	-	
<u>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</u>			
ინვესტიცია	(22 143)	-	
<u>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</u>	(22 143)	-	-
	-	-	
<u>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</u>			
სასესხო თანხის მიღება	11 413 884	11 524 113	9 421 929
სასესხო თანხის დაფარვა	(12 351 958)	(9 984 212)	(8 406 935)
სესხის პროცენტზე გადახდილი ფულადი სახსრები	(118 771)	(139 844)	(247 154)
დივიდენდი	(1 126 504)	(1 292 004)	(1 474 705)
<u>წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</u>	(2 183 350)	108 053	(706 865)
	-	-	
<u>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა</u>	(2 031 421)	(664 421)	(638 508)
	-	-	
<u>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის</u>	4 284 860	2 253 439	1 589 018
<u>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის</u>	2 253 439	1 589 018	950 510

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 25 სექტემბერს:

შპს „ორიენტ ლოჯიკის“

დირექტორი

/ალექსანდრე ბაგრატია /

ფინანსური დირექტორი

/ირაკლი გოგლიჩიძე /

**შპს „ორიენტ ლოჯიკი“ (საიდენტიფიკაციო N202052054)
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

ზოგადი ინფორმაცია

- 1.1 შპს „ორიენტ ლოჯიკი“ (შემდგომში `საწარმო~) დაფუძნებულია `მეწარმეთა შესახებ` კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 1995 წლის ნოემბერში, რეგისტრაციის 2/4-191; 20/11/1995
- 1.2 საწარმოს ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
- 1.3 საწარმოს იურიდიული მისამართია: საქართველო, საბურთალოს რაიონი, ვასო გომიშვილის ქუჩა, N71 საწარმოს სათაო ოფისი მდებარეობს ამავე მისამართზე;
- 1.4 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: კომპიუტერული ტექნიკით ვაჭრობას და მომსახურების გაწევას. პროდუქციის შესყიდვა ხდება როგორც ადგილობრივ ბაზარზე ე.წ. ტექნიკის დისტრიბუტორებისგან ასევე იმპორტის სახით. მომსახურების ნაწილში გამოკვეთილია ორი ტიპის ძირითადი მომსახურება.
- შპს „ორიენტ ლოჯიკი“ დაფუძნებულია 1995 წლის 20 ნოემბერ, რეგისტრაციის 2/4-191; 20/11/1995
- საწარმოს დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელები არიან:
- ვაჟა ნასყიდაშვილი (პ/ნ #01020002516) - 25%
 - ალან სანაკოევი (პ/ნ #01030005126) - 25%
 - ვიტალი ჯიგინოვი (პ/ნ #01010003971) - 25%
 - სერგო სანაკოევი (პ/ნ #01010002821) - 25%
- 1.5 საწარმო წარმოადგენს მეორე კატეგორიის (საშუალო) საწარმოს. მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება;
- 1.6 საწარმოს გააჩნია ფილიალი შვედეთის სამეფოში - ORIENT LOGIC FILIAL SVERIGE - რომელიც დაარეგისტრირდა საანგარიშგებო პერიოდში, ფილიალს საანგარიშგებო პერიოდში ეკონომიკური საქმიანობა არ განუხორციელებია.

1.7 საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და ამოცანების ფართო სპექტრის შესაბამისად საწარმოს გააჩნია შემდეგი ძირითადი ქვედანაყოფები:

- ორგანიზაციას მართავს დირექტორთა საბჭო.
- დისტრიბუციისა და მარკეტინგის სამსახური;
- აიტი ტექნოლოგიების გაყიდვების სამსახური;
- საფინანსო, ეკონომიკური და ადმინისტრაციული დეპარტამენტები;
- ადამიანი რესურსების მართვის დეპარტამენტი;
- შიდა აუდიტის სამსახური;
- საერთაშორისო ბრენდების საგარანტიო მომსახურების დეპარტამენტი;

1.8 კომპანიის დამკვეთთა სეგმენტი მოიცავს როგორც სახელმწიფო ასევე კერძო სექტორს. შპს „ორიენტ ლოჯიკი“ ოპერირებს საქართველოს ბაზარზე და ის იკვეთება როგორც ერთ-ერთი ლიდერი კომპანია წარმოდგენილ სფეროში.

- 47.41.0 საცალო ვაჭრობა კომპიუტერებით, პერიფერიული მოწყობილობებით და პროგრამული უზრუნველყოფით სპეციალიზებულ მაღაზიებში
- 46.51.0 საბითუმო ვაჭრობა კომპიუტერებით, კომპიუტერული პერიფერიული მოწყობილობებით და პროგრამული უზრუნველყოფით
- 62.01.0 კომპიუტერული დაპროგრამების საქმიანობებ
- 62.02.0 საკონსულტაციო საქმიანობები კომპიუტერული ტექნოლოგიების დარგში
- 62.03.0 კომპიუტერული საშუალებების მართვის საქმიანობები
- 62.09.0 საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული მომსახურების სხვა საქმიანობები
- 95.11.0 კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობების რემონტი
- სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.
- სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრზალული.

1.9 საგარანტიო მომსახურება, რომლის გაწევაც ხდება კლიენტზე, ტექნიკის მწარმოებლების საგარანტიო პოლიტიკის შესაბამისად.

1.10 სტანდარტული მომსახურება, რომელიც გულისხმობს გაფუჭებული ტექნიკის შეკეთებას.

1.11 პროდუქციის ნომენკლატურაში გააჩნიათ, როგორც წვრილი კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერია, ასევე კორპორატიულ სეგმენტზე გათვლილი რთული სპეციფიკაციის და ტექნოლოგიის მქონე ტექნიკა. ტექნიკის ნომენკლატურაში მოცემულია: სასერვერო მოწყობილობები, ქსელური მოწყობილობები, კომპიუტერული და პერიფერიული მოწყობილობები, უწყვეტი კვების ბლოკები, სადენები და სხვა აქსესუარები. სპეციალიზირებულია კიბერ უსაფრთხოების მიმართულებითაც, შესაბამისად ახდენენ

პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების შესყიდვას და რეალიზაციას. გააჩნიათ როგორც სასაწყობო ასევე წინასწარი შეკვეთების შესაბამისად რეალიზაცია.

2. საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული საკითხები:

- 2.1. კომპანიის პროდუქცია იყიდება საქართველოს მთელ მასშტაბზე. ჩვენსსაქმიანობის სფეროში ბაზარზე დიდი კონკურენციაა, თუმცა, პროდუქციის მაღალი ხარისხისა და აქტიური მარკეტინგული საქმიანობის ხარჯზე დღესაც ლიდერის პოზიციას ვინარჩუნებთ. დაგეგმილი და განხორციელებული სხვადასხვა პროექტების ხარჯზე საწარმო ერთ-ერთი საუკეთესოა ამიერკავკასიაში.
- 2.2. კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების შესაბამისად, ხელმძღვანელობა ყოველწლიურად ახორციელებს ორგანიზაციულ, ტექნიკურ და მარკეტინგულ ღონისძიებებს, შედეგად პროდუქციის/მომსახურეობის რეალიზაციის მოცულობა გაიზარდა. მაგრამ ვერ მიაღწი პოსტ პანდემიამდე პერიოდს.

	2023 წელი	2022 წელი	2021 წელი
რეალიზაცია	38 371 277	36 440 169	34 070 426
რეალიზაცია უსასყიდლო	-	(23 313)	-
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(62 392)	-	(218 112)
რეალიზაცია საგარანტიო საქონლის ცვლა	-	-	346 019
	<u>38 308 885</u>	<u>36 416 857</u>	<u>34 198 334</u>

მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში დაგეგმილია სარეკლამო პროცესის გააქტიურება და საქმიანობის არსებითი გაუმჯობესება.

კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს, საწარმო ფინანსურად სტაბილურია და მას შეუძლია საკუთარი სახსრებით გააგრძელოს კომპანიის განვითარება და ბაზარზე ლიდერის პოზიციის შენარჩუნება.

დასახელება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 2020	4732342
მოგება / (ზარალი)	709282
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	709282
დივიდენდის გამოცხადება	-1126504
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 2021	4315120
მოგება / (ზარალი)	962859

მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	962859
დივიდენდის გამოცხადება	-1360004
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 2022	3917975
მოგება / (ზარალი)	1689699
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	1689699
დივიდენდის გამოცხადება	-1552321
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 2023	4055353

- 2.3. 2022 წელს მოგება შეადგენდა 962 859 ლარს ხოლო 2023 წელს მოგება კი განისაზღვრა 1 689 699 ლარით. შესაბამისად გაიზარდა 58,17 %. მიუხედავად ამისა კომპანიას გააჩნია რესურსები რომ მომავალში აქტიურად გააგრძელოს საქმიანობა.
- 2.4. მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში დაგეგმილია სარეკლამო პროცესის გააქტიურება და საქმიანობის არსებითი გაუმჯობესება.
- 2.5. კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს, საწარმო ფინანსურად სტაბილურია და მას შეუძლია საკუთარი სახსრებით გააგრძელოს კომპანიის განვითარება და ბაზარზე ლიდერის პოზიციის შენარჩუნება.

3. მნიშვნელოვანი მოვლენები:

- 3.2 კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების შესაბამისად, ხელმძღვანელობა ყოველწლიურად ახორციელებს ორგანიზაციულ, ტექნიკურ და მარკეტინგულ ღონისძიებებს, მნიშვნელოვანია ახალი მიმართულებების განვითარება, რომლებიც ფირმას მისცემს საშუალებას, რომ გახდეს მომსახურების ექსპორტიორი. ეს მიმართულებებია, კიბერ უსაფრთხოება და პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებები, რომელსაც ბოლო წლებია კომპანია აქტიურად ანვითარებს. მოკლევადიან პერიოდში კომპანიამ მიაღწია მოცემული მიმართულებების კომერციულად მომგებიანი გამხდარიყო. როგორც მოკლევადიან ასევე გრძელვადიან მიზნებში გეგმავს გარე ბაზრებისთვის ამ მიმართულებების შესაბამისი პროდუქტების შეთავაზებას იმ კომერციულ სეგმენტებში, რომლებშიც საქართველოში უკვე აქტიურად და წარმატებულად მოქმედებს. მოცემული მიმართულებები იძლევა საშუალებას არასტაბილური ეკონომიკურ გარემოს და ეროვნული ვალუტის ცვლილებებს დაუპირისპიროს გარე ბაზრიდან მირებული უცხოური ვალუტაში მიღებული შემოსავლები. სავალუტო რისკების შემცირებისთვის მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს კლიენტებთან და მომწოდებლებთან მოლაპარაკებები და შეთანხმება ამა თუ იმ პროექტზე გადახდის პირობებზე. სტრატეგიის ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენს

კლიენტების დივერსიფიკაცია, მიუხედავად მათი ზომისა და ბრუნვისა. მსხვილი საწარმოების გარდა დიდი ყურადღება ექცევა საშუალო და მცირე ზომის ორგანიზაციებსაც, ვინაიდან მათი არსებობა კლიენტთა პორტფელში გვამღევს საშვალეებს სამომავლო შემოსავლების და დანახარჯები ფინანსური გეგმა იყოს უფრო გამყარებული, ვინაიდან კომპანია მიისწრაფის ზრდისაკენ და მნიშვნელოვია დასახული გეგმის შესრულება პროგნოზირებულთან იყოს მაქსიმალურად მიახლოებული.

3,3 ყოველი წლის მეათე თვის დასაწყისში იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია თითოეულ დეპარტამენტის უფროსისგან მიიღოს დაგეგმილ ფორმებში ინფორმაცია, რომელთა შეჯამების და შესაბამის პირებთან კომუნიკაციისა და ანალიზის შედეგად იქმნება სამომომავლო პრედიოს (პერიოდების) მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვა.

3,4 დაიხვეწა საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა და ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგია.

3,5 საგადასახადო ანგარიშებისა და ბუღალტრული აღრიცხვის ფინანსური ინფორმაციის ურთიერთშესაბამისობის კონტროლის გაადვილების მიზნით ბუღალტრულ აღრიცხვაში საგადასახადო ვალდებულებების სუბანგარიშების სააღრიცხვო ბარათების პარალელურად ნაერთი საგადასახადო-სააღრიცხვო ბარათის შემოღებამ გააუმჯობესა საგადასახადო ვალდებულებების შიდა კონტროლი.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა:

4.2 საწარმოს საოპერაციო (მუშა) და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა – ლარი;

4.3 მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, რაც გათვალისწინებულია საწარმოს ფინანსურ აღრიცხვა-ანგარიშგებაში.

4.4 საწარმოს წინა საანგარიშო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და `ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ` საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

4.5 მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი შეეხო მხოლოდ საგადასახადო ვალდებულებების კორექტირებას, რაც დაექვემდებარა საკუთარი კაპიტალის კატეგორიაში აღიარებას.

4.6 ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადრისობის პრინციპიდან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეტანილია წინა საანგარიშგებო პერიოდის _ ფინანსური ინფორმაცია.

4.7 საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მსს ფასს-ის შესაბამისად;

4.8 ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშგებას;
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას;
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- კაპიტალის მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- განმარტებით შენიშვნებს.

5. განმარტებითი შენიშვნები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე;

5.2 ფულადი სახსრები:

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახა ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით

დასახელება	2023 წელი	2022 წელი	2021 წელი
ნაღდი ფული საღარიბოში			-
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	950 510	1 586 373	2 225 523
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	-	2 645	27 916
	<u>950 510</u>	<u>1 589 018</u>	<u>2 253 440</u>

5.3 უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის _ 31 დეკემბერს არსებული კურსით;

2022 წელი	2023წელი
1 აშშ დოლარი - 2.7020	1 აშშ დოლარი - 2.6894
1 ევრო - 2.8844	1 ევრო - 2.9753
1 შვეიცარიული ფრანკი - 2.9322	1 შვეიცარიული ფრანკი - 3.2085

5.4 შეზღუდული ფული ან ფულის ეკვივალენტები საწარმოს საანგარიშგებო პერიოდში არ გააჩნდა;

5.5 მმწოდებლებზე გადახდილი ავანსები:

საწარმოს საანგარიშგებო წელს ტექნოლოგიური მოწყობილობებისა და სასაქონლო-მატერიალური მარაგების შესაძენად წინასწარ (ავანსად) გადარიცხული თანხების ნაშთი საანგარიშო წლის დასაწყისში 439 304 ლარს შეადგენდა, ხოლო წლის დასასრულს გარდამავალი ნაშთი 1 043 690 ლარით განისაზღვრებოდა, რაც იხურება მომდევნო საანგარიშგებო წელს:

დასახელება	2023 წელი	2022 წელი	2021 წელი
მმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1 043 690	439304	264,050
	<u>1 043 690</u>	<u>439304</u>	<u>264,050</u>

5.6 საწარმოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახა რეალური ღირებულების მოდელით, თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით;

5.7 საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია ძირითადი საშუალებებისაგან გამიჯნულად;

5.8 საინვესტიციო ქონება აღიარებისას აღრიცხულია _ თვითღირებულებით. მათი გადაფასება საანგარიშგებო პერიოდში არ მომხდარა.

5.9 ინვესტიციები შვილობის კომპანიებში:

ინვესტირებული თანხის წლის დასაწყისში შეადგენდა 233059 ლარს, აუდირებად პერიოდში არ განხორციელებულა ოპერაციები 0,00 ლარით. წლის ბოლოს საღირებულები ნაშთი შეადგენს იგივე თანხას 233059 ლარს.

5.10 სასაქონლო მატერიალური ფასეულობები:

შესყიდული მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით.

საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება შეადგენს; მიმდინარე სასაქონლო მატერიალური მარაგები 5 040 712 ლარის ხოლო წლის ბოლოს 5 360 885 ლარის.

5.11 დაუმთავრებელ წარმოებაზე გახარჯული მასალები ჩამოიწერება საწარმოს მიერ დადგენილი ნორმისა და გამოშვებული პროდუქციის მიხედვით.

5.12 მარაგების თვითღირებულების აღიარება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მოდელით;

5.13 ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით/ბარათით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. ტალონები/ბარათები აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად. საწვავი ჩამოიწერება სასაქონლო ზედნადების ან ავტოსაგზაო ბარათების მიხედვით ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად.

5.14 საწარმოს გრძელვადიანი მარაგები არ გააჩნია

5.15 მარაგების თვითღირებულების აღიარება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მოდელით;

5.16 ძირითადი საშუალებები:

კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის გადაფასების მოდელს. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ცვეთის გამოკლებით;

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდში ძირითადი აქტივების გაუფასურების ნიშნები არ გამოვლენილა და ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივების ღირებულება მსს ფასს-ის მოთხოვნათა შესაბამისად შეტანილია პირვანდელი ღირებულებით, ცვეთის გამოკლებით

მრავალჯერადი გამოყენების მცირეფასიანი ინსტრუმენტები და ინვენტარი, რომელთა სასარგებლო ეკონომიკური გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, მიკუთვნებულია სხვა მიმდინარე აქტივებზე;

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
<u>2018 წლის 1 იანვრისთვის</u>	<u>2 231 580</u>	<u>2 101 131</u>	<u>106 445</u>	<u>269 249</u>	<u>4 708 404</u>
შეძენა	-	34 681	31 566	662 186	728 433
შიდა მოძრაობა	-		-		-
რეალიზაცია	-		4 074	103 928	108 001
<u>2018 წლის 31 დეკემბრისთვის</u>	<u>2 231 580</u>	<u>2 135 812</u>	<u>133 937</u>	<u>827 507</u>	<u>5 328 836</u>
ცვეთის ხარჯი	-	43 683	26 394	160 413	230 490
გასული აქტივების	-	-	150	8 954	9 105
დაგროვილი ცვეთა				240	
<u>2019 წლის 31 დეკემბრისთვის</u>	<u>2 231 580</u>	<u>2 092 129</u>	<u>107 393</u>	<u>658 140</u>	<u>5 089 241</u>
შეძენა		3 180	74 186	243 582	320 948
შიდა მოძრაობა					
რეალიზაცია					
ცვეთის ხარჯი		45 386	25 778	306 037	377 201
დაგროვილი ცვეთა					
<u>2020 წლის 31 დეკემბრისთვის</u>	<u>2 231 580</u>	<u>2 049 922</u>	<u>155 801</u>	<u>595 685</u>	<u>5 032 989</u>

შეძენა			45 468	110 431	155 899
შიდა მოძრაობა					-
რეალიზაცია					-
ცვეთის ხარჯი		45 263	124 751	363 860	533 874
დაგროვილი ცვეთა					-
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	2 231 580	2 004 659	76 519	342 256	4 655 014
შეძენა			64 621	142 230	206 850
შიდა მოძრაობა					-
რეალიზაცია			(3 114)	(2 977)	(6 091)
ცვეთის ხარჯი		45 263	46 763	244 525	336 551
დაგროვილი ცვეთა					-
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2 231 580	1 959 395	91 262	236 983	4 519 222
შეძენა		82 157		145 845	228 002
შიდა მოძრაობა					-
რეალიზაცია				(41 613)	(41 613)
ცვეთის ხარჯი		46 243	22 497	128 500	197 240
დაგროვილი ცვეთა				74 404	74 404
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2 231 580	1 995 309	68 766	221 538	4 517 193
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2 231 580	2 101 131	106 445	269 249	4 708 404
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2 231 580	2 092 129	107 393	658 140	5 089 241
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	2 231 580	2 049 922	155 801	595 685	5 032 989
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	2 231 580	2 004 659	76 519	342 256	4 655 014
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2 231 580	1 959 395	91 262	236 983	4 519 222
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2 231 580	1 995 309	68 766	221 538	4 517 193

ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მათი ექსპლუატაციაში შესვლის, შეფასებული ღირებულების დადგენის თარიღიდან, მათი სასარგებლო ექსპლუატაციის ვადის პროპორციულად. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

შენობა ნაგებობები - 50 წელი

კომპიუტერები და საკომუნიკაციო აღჭურვილობა - 3 წელი

საოფისე აღჭურვილობა - 5 წელი

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი

სხვა აქტივები - 5 წელი

5.17 სხვა სასესხო ვალდებულებები:

საანგარიშგებო წლის დასაწყისისათვის საწარმოს გააჩნდა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულება, ბანკის კრედიტის სახით, 2019 წლის დასაწყისში შეადგენს თანხით – 937 736 ლარი, ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს 0,00 ლარი.

2021 -წლის ბოლოს ფინანსური ვალდებულებები არ გააჩნია. ხოლო 2022 წლის ბოლოსთვის მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებამ შეადგინა 1,385,419 ლარი.

2023 წელს განახორციელა საკრედიტო ხაზის ათვისება, და საანგარიშგებო წლის ბოლოს მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება შეადგენს 1787110 ლარს

2023 წელის ოქტომბრის თვეში, კომპანიამ აიღო 265 000 აშშ დოლარი იპოთეკური სესხი, საანგარიშგებო პერიოდში ფადარა 39 000 აშშ დოლარი, წლის ბოლოს სალდირებული ნაშთი შეადგენს 266 000 აშშ დოლარს.

5.18სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

საწარმოს სავაჭრო მოთხოვნების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული შემოსავლებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა. ამასთან, საწარმოს საქონლისა და მომსახურების მიწოდება დაკავშირებული მხარეების მიმართ არ განუხორციელებია. ასეთის არსებობის შემთხვევაში მათი ასახვა მოხდებოდა განცალკევებულად.

ფინანსური მოთხოვნები	2023 წელი	2022 წელი	2021 წელი
სავაჭრო მოთხოვნები	4103712	3 221 165	2 967 546
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	302	4 110	1 746
გამოკლებული: საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები	-373996	(44 342)	(44 342)
<u>სულ ფინანსური მოთხოვნები</u>	<u>3730018</u>	<u>3 180 933</u>	<u>2 924 950</u>
 არაფინანსური მოთხოვნები			
გამოკლებული: ავანსების	1043690	439 304	264 050
 სულ არაფინანსური მოთხოვნები	<u>1043690</u>	<u>439 304</u>	<u>264 050</u>
 <u>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</u>	<u>2686328</u>	<u>2 741 629</u>	<u>2 660 900</u>

5.19 არამატერიალური აქტივები:

საწარმოს აუდირებად პერიოდში არამატერიალური აქტივის სახით გააჩნია ლიცენზიები რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 15701 ლარს

5.20 გაცემული სესხები:

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ უფიქსირდება გაცემული სესხები.

5.21 გადავადებული საგადასახადო აქტივი:

მსს ფასს-ის 29-ე განყოფილების თანახმად საგადასახადო მოგებასა და ფინანსურ მოგებას შორის დროებითი სხვაობების შედეგად გადასახდელი და გაანგარიშებული გადასახადებს შორის სხვაობა აისახება საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით. მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (გარდა საწარმოთა გაერთიანებისა), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ ჯგუფი მიიღებს იმდენ დასაბეგრ მოგებას, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება.

გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ ძალაში იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი

აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა ჯგუფის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწყვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები გაიქვითება, თუ არსებობს კანონიერი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივები გაიქვითოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებით, და როცა ისინი დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც აკრეფილია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ და ჯგუფს განზრახული აქვს საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა. 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება ჯგუფში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ ჯგუფში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით. აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში, კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

5.22 სავაჭრო ვალდებულება:

საწარმოს სავაჭრო ვალდებულებების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული ხარჯებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა.

დასახელება	2023 წელი	2022 წელი	2021 წელი
ვალდებულება მომწოდებლებთან	5323771	6 160 391	6 856 743
	<u>5 323 771</u>	<u>6 160 368</u>	<u>6 856 743</u>

5.23 სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:

➤ მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები

საწარმოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები აღრიცხული აქვს განცალკევებულად, საგადასახადო ანგარიშგებებაში დეკლარირებული გადასახადის ოდენობით. ამასთან, გადასახადის სახეობების მიხედვით საგადასახადო ვალდებულებები დარიცხულია სააღრიცხვო საანგარიშო პერიოდის მიხედვით.

➤ გადასახდელი ხელფასი

საწარმო, მსს ფასს-ის 28-ე განყოფილების მოთხოვნების სრული დაცვით აღრიცხავს დაქირავებულ პირთა გასამრჯელოს. მოცემული სტანდარტის გათვალისწინებით, საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის გადასახდელი ხელფასი არ უფიქსირდება. აუდირებად პერიოდში მენეჯმენტზე გაცემულია 1 008 445 ლარის სახელფასო ანაზრაურება, რაც მთლიანი სახელფასო ფონდის 8,68 %-ს შეადგენს

➤ ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ.

საანგარიშგებო წლის დასაწყისისათვის საწარმოს პერსონალის ვალდებულება შეადგენდა 14 ლარს, ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს 6843 ლარს.

6. საქმიანობის შედეგების ანგარიში

6.1. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

6.2. ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები და მოგება ზარალი ასახულია ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით (მოდელით);

6.3. ამონაგები

აუდირებად პერიოდიდან მიღებული ამონაგები

	2023 წელი	2022 წელი	2021 წელი
რეალიზაცია	38 371 277	36 440 169	34 070 426
რეალიზაცია უსასყიდლო	-	(23 313)	-
გაყიდული საქონლის დაბრუნება/ფასდათმობა	(62 392)	-	(218 112)
რეალიზაცია საგარანტიო საქონლის ცვლა	-	-	346 019
	<u>38 308 885</u>	<u>36 416 857</u>	<u>34 198 334</u>

აღნიშნული მონაცემებიდანა ირკვევა, რომ 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში ამონაგები რეალიზაციიდან მნიშვნელოვნად შემცირდა წინა წლებთან მიმართებაში, მაგრამ კომპანიას გააჩნია

რესურსი, როგორც ადამიანური ასევე მატერიალური, რომ გაუმკლავდეს 2020 წლის მსოფლიო კრიზის, რომელიც გამოწვეული იყო covid-19 ფაქტორით.

დასახელება	2023 წელი	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი	2019 წელი
ამონაგები	<u>38 308 885</u>	<u>36 416 857</u>	<u>34 198 334</u>	<u>32 146 784,00</u>	46 107 931
<u>ჯამი</u>	<u>38 308 885</u>	<u>36 416 857</u>	<u>34 198 334</u>	<u>32 146 784</u>	<u>46 107 931</u>

2022 წლის მონაცემებით ვერ დაუბრუნდა პოსტ პანდემიურ პერიოდს მაგრამ გააუმჯობესა 6,49% ით გასულ პერიოდთან შედარებით.

2023 წელსაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ამონაგები, მაგამ პოსტ პანდემიურ პერიოდს ვერ დაუბრუნდა. მაგრამ გააუმჯობესა 5,2% ით გასულ პერიოდთან შედარებით. ხოლო 2021 წელთან კი 12,01%-ით გააუმჯობესა

6.4. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება:

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აღიარებულია შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. ხოლო, ჩამოწერა ხორციელდება „საშუალო შეწონილი“ ღირებულებით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ნედლეული და მასალების ხარჯი ტექნოლოგიური მიზნისათვის, აგრეთვე, დამხმარე მასალები ჩამოიწერება პროდუქციის თვითღირებულებაზე ფაქტობრივი ხარჯვის შესაბამისად.

- ✓ რეალიზებული საქონელის/მომსახურების თვითღირებულება - 22637139 ლარი
- ✓ შეძენილი საქონლის უკანდაბრუნება და ფასდათმობა - 38052

➤ კომპანიიდან დანახარჯების კლასიფიკაცია

- ✓ სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად ძირითად აქტივებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით
- ✓ საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივებისა და ძირითადი საშუალებების გაუფასურება არ დაფიქსირებულა
- ✓ დაქირავებულ პირთა შრომის ანაზღაურება საწარმოო პერსონალის, დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის აღირიცხება დიფერენცირებულად
- ✓ აუდიტის მომსახურებით საწარმომ ისარგებლა ფინანსური ანგარიშგებისა და მიმდინარე საკითხების აუდიტთან დაკავშირებით:
- ✓ საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს იჯარით ჰქონდა აღებული ეკონომიკური საქმიანობისათვის სრულყოფილად განხორციელებისათვის კომერციული ფართი.

დასახელება	ლარი		
	2023 წელი	2022 წელი	2021 წელი
ტრანსპორტირება (ადგილობრივი)	6 063	6 890	23 182
დეკლარირება ექსპორტი	12 144	14 343	14 282
დარიცხული ხელფასი	11 397 314	9 450 833	8 234 137
საპენსიო ანარიცხები	215 693	178 340	154 589
ოფისის იჯარა	241 920	267 572	295 725
დაცვის მომსახურება	54 540	50 916	45 773
საოფისე ხარჯები	151 186	110 380	112 766
საკანცელარიო	3 145	3 412	2 297
საწვავი	29 236	34 265	24 053
საკომუნიკაციო მომსახურება	95 423	98 383	90 910
ელ.ენერგია	109 753	102 674	87 095
დაზღვევა ქონების	11 738	13 289	10 347
რემონტის დანახარჯები	425	15 575	1 484
კომპიუტერის ხარჯები	49 830	12 021	45 588
შენობის ცვეთა	200 569	336 551	453 984
პროგრამის დანერგვა	150 183	327 473	285 718
სხვა ხარჯი	125 056		
წარმომადგენლობითი ხარჯი	143 844	323 763	208 862
მარკეტინგის ხარჯები	349 636	289 067	40 012
მივლინებების ხარჯები	129 947	132 766	225 944
საწევრო	16 502	32 425	44 759
სწავლების ღირებულება	77 111	62 415	92 407
კორპორატიული სატამო	10 793	200 984	-
აუდიტორული მომსახურება	19 000	19 000	19 212
ჯამი	<u>13 601 054</u>	<u>12 083 336</u>	<u>10 513 124</u>

საწარმო ყოველწლიურად აანალიზებს აქტივების შესაძლო გაუფასურებას, რომელთა საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების კრიტერიუმების გამოყენებით გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აისახება მოგება/ზარალის შესაბამის ანგარიშებში.

6.5 საგადასახადო ხარჯი გარდა მოგების გადასახადისა

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით (ე.წ. „ესტონური მოდელით“). დაბეგრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს. მსს ფასს შესაბამისად დასაბეგრი და ფინანსური მოგების სხვაობის შედეგი აისახება საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით. საწარმომ ფინანსური შედეგები (საანგარიშგებო პერიოდის მოგება-

ზარალი) შეამციროს მხოლოდ საანგარიშგებო წელს დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადით

6.6 არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება/ზარალი:

ქვემოთ მოცემულია არასაოპერაციო საქმიანობიდან (საკურსოსხვაობები, ფასდათმობები, გადაფასება) რომელიც წარმოიშვა მიმდინარე პერიოდში ფულადი მუხლების გადაფასების (წლის ბოლოს არსებული კურსის შესაბამისად) დროს. შესაბამისად, მსს ფასს-ის 30.10 განყოფილების მოთხოვნებიდან გამომდინარე აღნიშნული თანხები აკუმულირდა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შემოსავალი/ზარალი არასაოპერაციო საქმიანობიდან

დასახელება	2023 წელი	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი არასაოპერაციო საქმიანობიდან	544738	28	4 601
ზარალი არასაოპერაციო საქმიანობიდან	-550	(422)	(18 993)
საკურსო გადაფასება	-75249	591 260	755 028
<u>ჯამი</u>	<u>468939</u>	<u>590 866</u>	<u>740 637</u>

6.7 ფინანსური ხარჯი:

მსს ფასს-ის თანახმად ფინანსურ მუხლს არ მიეკუთვნება ისეთი ფულადი დანახარჯები, რომლებიც არ გამომდინარეობს სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან. აღნიშნულის გამო საგადასახადო და ადმინისტრაციული ხარჯები აისახა წმინდა არასაოპერაციო შემოსავლის მუხლში.

7. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

- 7.1 ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში გამიჯნულადაა ასახული ფულადი ნაკადები საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან;
- 7.2 ფულად ნაკადებში საოპერაციო საქმიანობიდან შეტანილია ამონაგები პროდუქციისა და მარაგების რეალიზაციიდან, მომსახურების გაწევიდან;
- 7.3 საოპერაციო საქმიანობიდან ფულად ნაკადებში გათვალისწინებული არ არის ამონაგები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან და დანახარჯები ძირითადი აქტივების შეძენასა და მონტაჟზე;
- 7.4 საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ დანახარჯებში შეტანილია საგადასახადო ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული გადახდები;

- 7.5 ძირითად აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობები და დანახარჯები მათ შესყიდვასა და მონტაჟზე საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიკუთვნებულია საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე;
- 7.6 საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიღებული დივიდენდები კლასიფიცირდება, როგორც საინვესტიციო ფულადი ნაკადები, ხოლო გაცემული დივიდენდები – როგორც ფინანსური ოპერაციები. საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს დივიდენდები არ მიუღია;
- 7.7 ფულად ნაკადებში ფინანსური საქმიანობიდან შეტანილია მიღებული და გადახდილი პროცენტები, გაცემული დივიდენდები, სესხებთან დაკავშირებული ოპერაციები და სხვა ფინანსური ოპერაციები;

8. ცვლილებები საწარმოს საკუთარ კაპიტალში

- 8.1 2023 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალში პარტნიორთა მიერ ცვლილება არ განხორციელებულა და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის – 1274 (ათასორასსამოცდათოთხმეტი) ლარს შეადგენდა.
- 8.2 საანგარიშგებო პერიოდში ფინანსურმა მოგებამ - **1 689 699 ლარი** შეადგინა. შედეგად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდში გაიზარდა მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე.
- 8.3 პარტნიორთა გადაწყვეტილებით გაუნაწილებელი მოგებიდან - **1 552 321 ლარის** დივიდენდი გაიცა.
- 8.4** ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეადგენს **2889015 ლარს**.

9. დასკვნითი ნაწილი

- 9.1. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ, ფინანსური ანგარიშგევა მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2024 წლის 25 სექტემბერს
- 9.2. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენები არ მომხდარა.

შპს “ორიენტ ლოჯისი,”

დირექტორი

/ალექსანდრე ბაგრატია /

ფინანსური დირექტორი

/ირაკლი გოგლიჩიძე /

მმართველობის ანგარიში

ინფორმაცია კომპანიის შესახებ:

შპს „ორიენ ლოჯიკი“ დაფუძნებულია 1995 წლის 20 ნოემბერ, რეგისტრაციის 2/4-191; 20/11/1995

საწარმოს დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელები არიან:

- ✓ ვაჟა ნასყიდაშვილი (პ/ნ №01020002516) - 25%
- ✓ ალან სანაკოვეი (პ/ნ №01030005126) - 25%
- ✓ ვიტალი ჯიგინოვი (პ/ნ №01010003971) - 25%
- ✓ სერგო სანაკოვეი (პ/ნ №01010002821) - 25%

1. საწარმოს ძირითადი საქმიანობა:~

1.1 შპს-ის „ორიენ ლოჯიკი“ ძირითადი საქმიანობაა: ვაჭრობა, საქონლის იმპორტი და რეალიზაცია/დისტრიბუცია, და სხვა საქმიანობა, რაც საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული არ არის.

1.2 მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში შპს „ორიენ ლოჯიკი“ რეგისტრირებულია კომპიუტერული ტექნიკით ვაჭრობის და მომსახურების საწარმოდ.

1.3 ორგანიზაციას ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის გარდა გააჩნია შემდეგი ძირითადი ქვედანაყოფები:

- ✓ ქსელური ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი;
- ✓ სასერვერო ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი
- ✓ პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის და განვითარების დეპარტამენტი;
- ✓ საგარანტიო და კომერციული მომსახურების დეპარტამენტი;
- ✓ კომპიუტერული და პერიფერიული საქონლის დეპარტამენტი;
- ✓ კიბერ უსაფრთხოების უზრუნველყოფის დეპარტამენტი
- ✓ კორპორატიულ კლიენტების მოხიდვის და მომსახურების დეპარტამენტი.

1.4 ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დეპარტამენტები არიან პასუხისმგებელი ფირმის კომერციული მიზნების და ამოცანების განხორციელებაზე.

1.5 ფაქტობრივად საანგარიშგებო პერიოდში საწარმო ძირითადად ახორციელებდა კომპიუტერული ტექნიკის იპორტსა და რეალიზაციას.

2. საწარმოს მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში

- 2.1 ორგანიზაციას შვედეთის სამეფოში გააჩნია ფილიალი, რომელსაც დაარსების დღიდან საანგარიშგებო პერიოდისში არ უფუნქციონირია;
- 2.2 საწარმოს არ გააჩნია წილები დამატებით სხვა საწარმოებში;

3. საწარმოს სტრუქტურა

- 3.1 საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და ამოცანების ფართო სპექტრის შესაბამისად საწარმოს გააჩნია შემდეგი ძირითადი ქვედანაყოფები:
- ✓ რეგიონალური ქვედანაყოფები არ გააჩნია;
 - ✓ დისტრიბუციისა და მარკეტინგის სამსახური;
 - ✓ საფინანსო, ეკონომიკური, იურიდიული და ადმინისტრაციული განყოფილებები;
 - ✓ მონიტორინგის სამსახური;

4. ბიზნეს გარემოსა და რისკების მიმოხილვა:

- 4.1 მსოფლიო ეკონომიკაში არსებული კრიზისები, სხვადასხვა გარეშე და შიდა ფაქტორების შედეგად უცხოური ვალუტის მიმართ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობა გავლენას ახდენს იმპორტირებული პროდუქციის ფასებზე და მოწოდების პირობებზე, რაც უშუალოდ აისახება საწარმოს საქმიანობაზეც. ამასთან, საქართველოს შიდა ბაზარი არასტაბილურია და რეალურად არ გააჩნია მარეგულირებელი ინფრასტრუქტურა.
- 4.2 საწარმოს საქმიანობის არეალი მოიცავს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს. ამასთან, საწარმოს საქმიანობის ყველა სფეროში მძაფრია კონკურენცია, რასაც საწარმო უმკლავდება მარკეტინგული აქტივობისა და ბაზარზე კონკურენტუნარიანი და მაღალი ხარისხის ფართო ასორტიმენტის საქონლის მიწოდების ხარჯზე.
- 4.3 სწრაფად მზარდი ტექნოლოგიები ამავე დროს იძლევა დადებით ფაქტორებს, ვინაიდან მხვილი კორპორაციები იძულებულები არიან აყვნენ ტექნოლოგიების გლობალურ გნვითარებას, ვინაიდან მოხდეს სხვადასხვა გარე ბაზრებზე მათი ინტეგრირება. წლების განმავლობაში დაგროვილი კომპეტენცია და გამოცდილება გარკვეულ მიმართულებებში იძლევა საშვალეებს იყოს ლიდერი, შესაბამისად კომპანია მუდმივად ახორციელებს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც უამრავი რთული პროექტების ხარისხიანად შესრულების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს. ყველა დეპარტამენტის უფროსს ევალება იზრუნოს თავისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ვინაიდან ტექნოლოგიური ზრდის ტემპი მოითხოვს კადრების სწრაფად გადამზადებას. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ხდება უშუალოდ მწარმოებლების მიერ ლიცენზირებულ სასწავლო დაწესებულებებში. აქედან გამომდინარე შპს „ორიენტ ლოჯიკი“

ბაზარზე ცნობადია თავისი კომპეტენტურობით. დარგების მაღალი კომპეტენცია და მომსახურების ხარისხიანად გაწევა იწვევს კლიენტებთან სტაბილურ და გრძელვადიან პარტნიორობას.

- 4.4 ზემოთ აღნიშნული მიზეზების შედეგად მაღალია მარკენტიგული რისკები, რომელთა თავიდან აცილების მიზნით საწარმო მარკენტიგის, ეკონომიკური და ანალიზის სამსახურები სისტემატურად აანალიზებენ ქვეყნის ბაზარზე არსებულ მდგომარეობას, მუშავდება რეკომენდაციები საწარმოს საქმიანობის ცალკეული სფეროს ნაწილობრივ შეზღუდვის ან გაფართოების, საქმიანობის შეჩერების ან ახალი მიმართულებების დანერგვის შესახებ.
- 4.5 საწარმოს მიაჩნია, რომ ბიზნესის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია სწორად განსაზღვროს ბაზარზე თავისი ადგილი „ნიშა“, რომელიც ნაკლებად ან არასაკმარისადაა გამოყენებული კონკურენტების მიერ.
- 4.6 საწარმომ საქართველოს ბაზარზე გააფართოვა ექსკლუზიური მიწოდება. ასევე ხორციელდება სხვა ღონისძიებები ეკონომიკური რისკების თავიდან აცილების მიზნით.
- 4.7 მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, საწარმო გეგმავს მსოფლიო ბაზარზე არსებული მდგომარეობის ღრმად შესწავლას, მოთხოვნადი და თანამედროვე პროდუქციის მოძიების მიზნით და მათი საქართველოს ბაზარზე შემოტანის შესაძლებლობის მოკვლევას;
- 4.8 მნიშვნელოვანია ტექნოლოგიების მწარმოებელი ორგანიზაციების პარტნიორობის რაოდენობის ზრდა. რაც ყოველ წლიურ მიზნებში ისახება და ხარციელდება ეტაპობრივად.
- 4.9 მნიშვნელოვანია ახალი მიმართულებების განვითარება, რომლებიც ფირმას მისცემს საშუალებას, რომ გახდეს მომსახურების ექსპორტიორი. ეს მიმართულებებია, კიბერ უსაფრთხოება და პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებები, რომელსაც ბოლო წლებია კომპანია აქტიურად აწვითარებს. მოკლევადიან პერიოდში კომპანიამ მიაღწია მოცემული მიმართულებების კომერციულად მომგებიანი გამხდარიყო. როგორც მოკლევადიან ასევე გრძელვადიან მიზნებში გეგმავს გარე ბაზრებისთვის ამ მიმართულებების შესაბამისი პროდუქტების შეთავაზებას იმ კომერციულ სეგმენტებში, რომლებშიც საქართველოში უკვე აქტიურად და წარმატებულად მოქმედებს. მოცემული მიმართულებები იძლევა საშუალებას არასტაბილური ეკონომიკურ გარემოს და ეროვნული ვალუტის ცვლილებებს დაუპირისპიროს გარე ბაზრიდან მირებული უცხოური ვალუტაში მიღებული შემოსავლები. სავალუტო რისკების შემცირებისთვის მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს კლიენტებთან და მომწოდებლებთან მოლაპარაკებები და შეთანხმება ამა თუ იმ პროექტზე გადახდის პირობებზე. სტრატეგიის ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენს კლიენტების დივერსიფიკაცია, მიუხედავად მათი ზომისა და ბრუნვისა. მსხვილი საწარმოების გარდა დიდი ყურადღება ექცევა საშუალო და მცირე ზომის ორგანიზაციებსაც, ვინაიდან მათი არსებობა კლიენტთა პორტფელში გვაძლევს საშუალებას სამომავლო შემოსავლების და დანახარჯები ფინანსური გეგმა იყოს უფრო გამყარებული, ვინაიდან კომპანია მიისწრაფის ზრდისაკენ და

მნიშვნელოვია დასახული გეგმის შესრულება პროგნოზირებულთან იყოს მაქსიმალურად მიახლოებული.

- 4.10 ყოველი წლის მეათე თვის დასაწყისში იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია თითოეულ დეპარტამენტის უფროსისგან მიიღოს დაგეგმილ ფორმებში ინფორმაცია, რომელთა შეჯამების და შესაბამის პირებთან კომუნიკაციისა და ანალიზის შედეგად იქმნება სამომავლო პრედიოს (პერიოდების) მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვა.
- 4.11 საპროგნოზო ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა სამუშაო ჯგუფის მიერ წარედგინება დირექტორთა საბჭოს და მხოლოდ ამის შემდეგ მტკიცდება დამფუძნებელთა კრებაზე.
- 4.12 სამუშაო ჯგუფში შედიან ფინანსისტები და კომერციული მიმართულებების წარმომადგენლები.

5. პროდუქციის ხარისხი:

- 5.1 კომპანია მუშაობს მხოლოდ სტაბილურ და ხარისხიან ბრენდებზე.
- 5.2 კომპანიას მართავს დირექტორთა საბჭო სადაც წყდება მნიშვნელოვანი და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება.
- 5.3 დირექტორთა საბჭო ანგარიშ ვალდებულია დამფუძნებელთა კრების მიმართ.
- 5.4 კომპანიის შუა რგოლს წარმოადგენენ დეპარტამენტის უფროსები, რომლების პასუხისმგებლობას იღებენ კონკრეტული მიმართულებების განვითარებასა და ფინანსური შედეგების მიღებაზე.
- 5.5 კომპანიაში შემუშავებულია ფინანსური ინსტრუმენტები და მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს ფინანსური რისკების შემცირებას.
- 5.6 შუა რგოლის მენეჯერები პასუხისმგებლები არიან შესაბამისი მიმართულებების გაყიდვების დასახული გეგმის შესრულებაზე, განვითარების მომავალი წლების სტრატეგიის შემუშავებაზე და დირექტორთა საბჭოზე საკითხის გატანაზე. ასევე პასუხისმგებლები არიან ყოველდღიურ საოპერაციო საქმიანობის კონტროლზე.
- 5.7 კომპანიის სტაბილურობა და მაღალი კომპეტენცია შრომით ბაზარზე დიდი ინტერესს იწვევს მოცემულ სფეროში მოღვაწე სპეციალისტების მხრიდან. ასევე დიდი ინტერესი იკვეთება სტუდენტებისა და ახალი კურს დამთავრებულების მხრიდან, შესაბამისად კომპანია მუდმივად მზად ყოფნას გამოხატავს ახალი სტაჟიორების მიღებას და მათი, როგორც სპეციალისტების ჩამოყალიბებაში. რამდენიმე თვიანი წარმატებული პერიოდის შემდგომ კომპანია სთავაზობს მუდმივ სამუშაო შტატს. აღნიშნული წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტს, რომ მოხდეს ახალგაზრდა სპეციალისტების მოძიება და მათი პროფესიული ზრდა.
- 5.8 კომპანიას გააჩნია თანამშრომლების მოტივაციის ნაწილში კონკრეტული მოდელები, რომელიც ფორმირდება მრავალი კრიტერიუმის გათვალისწინებით. ერთ-ერთი ძირითადს წარმოადგენს დასახული გეგმების შესრულება. ამ ნაწილში მოტივაცია ჩამოყალიბებულია პერიოდების

მიხედვით. სხვადასხვა რანგის მენეჯერებსა და სპეციალისტებს სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა კრიტერიუმებით ეძლევათ ფულადი მოტივაცია.

6. საწარმოს ურთიერთობა არარეზიდენტ კომპანიებთან

- 6.1 საწარმოს კომერციული პარტნიორები და საქონლის ძირითადი მომწოდებლები არიან ფინეთი, პოლონეთი, შვეიცარია, იტალია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და სხვა;
- 6.2 საწარმოს შესყიდული არ აქვს სასაქონლო ნიშნები;
- 6.3 საწარმოს შესყიდული არ აქვს ლიცენზია;
- 6.4 საწარმოს საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს საკონსულტაციო და იურიდიულ მომსახურებაზე.

7. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების მდგომარეობა:

- 7.1 ექსპედიტორები უზრუნველყოფილი არიან სეზონის შესაბამისი სპეცტანსაცმლით;
- 7.2 შექმნილია ნორმალური სამუშაო გარემო არამარტო საწარმოო პერსონალის, არამედ ინჟინერ-ტექნიკური და ეკონომიკური პერსონალისთვისაც.
- 7.3 საზოგადოება სრულად ადაპტირებულია შრომის უსაფრთხოების კანონით მოთხოვნილ ნორმებთან, მიმდინარეობს თანამშრომელთა გადამზადება და უსაფრთხოების ნორმების მკაცრი მონიტორინგი

8. მონაწილეობა სოციალური პროექტებში:

- 8.1 კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს დასაქმების პროგრამას. კერძოდ, საწარმოში დასაქმებულთა საშუალო წელში რაოდენობა საანგარიშგებო პერიოდში **150** შეადგენდა.

წინამდებარე მმართველობითი ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2024 წლის 25 სექტემბერს

შპს „ორიენტ ლოჯიკის“

დირექტორი

/ალექსანდრე ბაგრატია /

აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

შპს „ანდრე აუდიტის“ სახელით

სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-934401

ზაზა მჭედლიშვილი

SARAS-A-863342



თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2024 წ.

**ფულის მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი პირდაპირი მეთოდით**

შინაარსი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
<u>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</u>			
კლიენტისგან მიღებული ფულადი სახსრები	39 104 189	42 447 278	44 121 521
კლიენტზე გადახდილი ფულადი სახსრები	(29 783 891)	(31 355 527)	(29 549 626)
ხელფასები	(6 271 126)	(7 173 520)	(8 510 534)
გადასახადები	(2 875 101)	(4 690 705)	(5 993 004)
<u>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</u>	174 072	(772 474)	68 357
	-	-	
<u>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</u>			
ინვესტიცია	(22 143)	-	
<u>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</u>	(22 143)	-	-
	-	-	
<u>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</u>			
სასესხო თანხის მიღება	11 413 884	11 524 113	9 421 929
სასესხო თანხის დაფარვა	(12 351 958)	(9 984 212)	(8 406 935)
სესხის პროცენტზე გადახდილი ფულადი სახსრები	(118 771)	(139 844)	(247 154)
დივიდენდი	(1 126 504)	(1 292 004)	(1 474 705)
<u>წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</u>	(2 183 350)	108 053	(706 865)
	-	-	
<u>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა</u>	(2 031 421)	(664 421)	(638 508)
	-	-	
<u>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის</u>	4 284 860	2 253 439	1 589 018
<u>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის</u>	2 253 439	1 589 018	950 510

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 25 სექტემბერს:

შპს „ორიენტ ლოჯიკის“
დირექტორი



/ალექსანდრე ზაგრატია /

ფინანსური დირექტორი



/ირაკლი გოგლიჩიძე /

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
ამონაგები	6,3	38308885	36416857
არასაოპერაციო შემოსავალი		544738	28
<u>სულ შემოსავალი</u>		<u>38853623</u>	<u>36416885</u>
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6,4	-22599087	-23721023
პერსონალის ხარჯი		-11613007	-9629172
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		-349636	-289067
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი		-19000	-19000
იჯარის ხარჯი		-241920	-267572
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		-6063	-6890
ცვეთა და ამორტიზაცია		-200569	-336551
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-1536679	-1535084
სხვა ფინანსური დანახარჯი		-550	-422
პროცენტის ხარჯი		-247154	0
გადაფასება		-75249	591260
<u>სულ ხარჯი</u>		<u>-36888914</u>	<u>-35213520</u>
მოგება დაბეგვრამდე		<u>1964709</u>	<u>1203364</u>
მოგების გადასახადი		-275011	-240505
საოპერაციო მოგება		1689699	962859
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		1027686	1424831
დივიდენდი		-1552321	-1360004
სხვა			
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		1165064	1027686
საწესდებო კაპიტალი შპს-ში		1274	1274
სარეზერვო კაპიტალი		2889015	2889015

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 25 სექტემბერს:

შპს „ორიენტ ლოჯიკის“
დირექტორი

/ალექსანდრე ზაგრატია /

ფინანსური დირექტორი

/ირაკლი გოგლიჩიძე /

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივი	2023 წელი	2022 წელი	2021 წელი
ფულადი საშუალებები	950510	1589018	2253440
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4103712	3221165	2967546
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	-373996	-44342	-44342
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1043690	439304	264050
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	302	4110	1746
საგადასახადო აქტივი	-	768186	487233
საქონელი	5360885	5040712	3966820
სულ მიმდინარე აქტივები	11085103	11018153	9896494
მიწის ნაკვეთები	2231580	2231580	2231580
შენობები	1992369	1954599	1998006
დამხმარე ნაგებობა	2940	4797	6653
ოფისის აღჭურვილობა	221537	236983	342256
სატრანსპორტო საშუალებები	68766	91262	76519
ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში	233059	233059	233059
არამატერიალური აქტივი	15701	27852	27852
სულ გრძელვადიანი აქტივები	4765952	4780132	4915924
სულ აქტივები	15851055	15798285	14812418
მოწოდებიდან და მომსახურებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	5323771	6160391	6856743
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	6843	14	34
მიღებული ავანსები	3961300	3712123	3082527
მოკლევადიანი სესხები	1787111	1385419	-
საგადასახადო ვალდებულება	108873	622364	557994
სულ მიმდინარე ვალდებულებები	11187898	11880310	10497298
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	607804	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	607804	-	-
სულ ვალდებულებები	11795702	11880310	10497298
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	1274	1274	1274
გაუნაწილებელი მოგება წინა წლების	1165064	1027686	1424831
სარეზერვო კაპიტალი	2889015	2889015	2889015
სულ კაპიტალი	4055353	3917975	4315120
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	15851055	15798285	14812418

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 25 სექტემბერს:

შპს „ორიენტ ლოჯიკის“

დირექტორი



/ალექსანდრე ზაგრატია /

ფინანსური დირექტორი



/ირაკლი გოგლიჩიძე /

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი')	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 2021	1274	2889015	1424831	4315120
მოგება / (ზარალი)			962859	962859
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)				0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)			962859	962859
დივიდენდის გამოცხადება			-1360004	-1360004
სხვა				0
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 2022	1274	2889015	1027686	3917975
მოგება / (ზარალი)			1689699	1689699
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)				0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)			1689699	1689699
დივიდენდის გამოცხადება			-1552321	-1552321
სხვა				0
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 2023	1274	2889015	1165064	4055353

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 25 სექტემბერს:

შპს „ორიენ ლოჯიკის“
დირექტორი



/ალექსანდრე ზაგრატია /

ფინანსური დირექტორი



/ირაკლი გოგლიჩიძე /

- 7.5 ძირითად აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობები და დანახარჯები მათ შესყიდვასა და მონტაჟზე საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიკუთვნებულია საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე;
- 7.6 საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიღებული დივიდენდები კლასიფიცირდება, როგორც საინვესტიციო ფულადი ნაკადები, ხოლო გაცემული დივიდენდები – როგორც ფინანსური ოპერაციები. საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს დივიდენდები არ მიიღია;
- 7.7 ფულად ნაკადებში ფინანსური საქმიანობიდან შეტანილია მიღებული და გადახდილი პროცენტები, გაცემული დივიდენდები, სესხებთან დაკავშირებული ოპერაციები და სხვა ფინანსური ოპერაციები;

8. ცვლილებები საწარმოს საკუთარ კაპიტალში


- 8.1 2023 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალში პარტნიორთა მიერ ცვლილება არ განხორციელებულა და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის – 1274 (ათასორასსამოცდათოთხმეტი) ლარს შეადგენდა.
- 8.2 საანგარიშგებო პერიოდში ფინანსურმა მოგებამ - 1 689 699 ლარი შეადგინა. შედეგად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდში გაიზარდა მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე.
- 8.3 პარტნიორთა გადაწყვეტილებით გაუნაწილებელი მოგებიდან - 1 552 321 ლარის დივიდენდი გაიცა.
- 8.4 ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეადგენს 2889015 ლარს.

9. დასკვნითი ნაწილი

- 9.1. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ, ფინანსური ანგარიშგევა მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2024 წლის 25 სექტემბერს
- 9.2. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენები არ მომხდარა.

შპს „ორიენტ ლოჯისტიკის“
დირექტორი

ფინანსური დირექტორი



/ალექსანდრე ზაგრაძია /

/ირაკლი გოგლიძე /

მიხედვით. სხვადასხვა რანგის მენეჯერებსა და სპეციალისტებს სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა კრიტერიუმებით ეძლევათ ფულადი მოტივაცია.

6. საწარმოს ურთიერთობა არარეზიდენტ კომპანიებთან

- 6.1 საწარმოს კომერციული პარტნიორები და საქონლის ძირითადი მომწოდებლები არიან ფინეთი, პოლონეთი, შვეიცარია, იტალია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და სხვა;
- 6.2 საწარმოს შესყიდული არ აქვს სასაქონლო ნიშნები;
- 6.3 საწარმოს შესყიდული არ აქვს ლიცენზია;
- 6.4 საწარმოს საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს საკონსულტაციო და იურიდიულ მომსახურებაზე.

7. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების მდგომარეობა:

- 7.1 ექსპედიტორები უზრუნველყოფილნი არიან სეზონის შესაბამისი სპეცტანსაცმლით;
- 7.2 შექმნილია ნორმალური სამუშაო გარემო არამარტო საწარმოო პერსონალის, არამედ ინჟინერ-ტექნიკური და ეკონომიკური პერსონალისთვისაც.
- 7.3 საზოგადოება სრულად ადაპტირებულია შრომის უსაფრთხოების კანონით მოთხოვნილ ნორმებთან, მიმდინარეობს თანამშრომელთა გადამზადება და უსაფრთხოების ნორმების მკაცრი მონიტორინგი

8. მონაწილეობა სოციალური პროექტებში:

- 8.1 კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს დასაქმების პროგრამას. კერძოდ, საწარმოში დასაქმებულთა საშუალო წელში რაოდენობა საანგარიშგებო პერიოდში 150 შეადგენდა.

წინამდებარე მმართველობითი ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2024 წლის 25 სექტემბერს

შპს „ორიენტ ლოჯისტიკის“

დირექტორი



/ალექსანდრე ზაგრატია /